

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია



წლიური ანგარიში
2008 წ.

სარჩევი

თავი I.....	3
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია	3
ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა.....	4
საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები.....	4
კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები.....	10
2008 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.....	14
თავი II	16
განხორციელებული სამუშაოები	16
დადგენილებები.....	16
გადაწყვეტილებები.....	17
ლიცენზირება.....	17
ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება	25
რადიოსარელო სიხშირეების მინიჭება.....	25
რადიოსიხშირეებისა და ნუმერაციის მინიჭება დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით.....	26
ბაზრის კვლევა.....	26
ავტორიზაცია	30
რადიოსიხშირეების მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია.....	31
საერთაშორისო საქმიანობა.....	34
დავები	35
მომხმარებელთა უფლებები.....	36
თავი III	39
ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის	39
განვითარების მიმოხილვა.....	39
დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში.....	39
ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა.....	40
ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება	41
მობილური ტელეფონია	43
ტელერადიომუწყებლობა	44
ინტერნეტის ქსელით მომსახურება.....	45

თავი I

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

მისია

საქართველოს მეგზური თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერაში

ხედვა

- ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა
- კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა
- საბაზრო ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირების მექანიზმის შექმნა
- საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა
- კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის მედიატორის როლის შესრულება
- საინვესტიციოდ მიმზიდველი და სტაბილური ბიზნეს გარემოს შექმნის ხელშეწყობა

ფასეულობები:

ჩვენ გვჯერა, რომ:

- ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ ზრდას
- ღია და გამჭვირვალე ურთიერთობები ხელს უწყობს ბაზრის მონაწილეებსა და მომხმარებლებს შორის ნდობის გაღრმავებას
- გამჭვირვალე საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული რეგულირება და გადაწყვეტილების მიღებისას თანასწორუფლებიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა არის ბაზარზე კონკურენციის განვითარების ხელშეწყობისა და ინოვაციების დამკვიდრების წინაპირობა
- ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება ხელს უწყობს მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას
- სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო ინვესტიციების მოზიდვის და ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საწინდარია
- რეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, ბაზარზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინება, მარტივი წესების დამკვიდრება შედეგიანობის მიღწევის საწინდარია
- შეზღუდული რესურსების ეფექტიანად განაწილება ელექტრონული კომუნიკაციების დარგში კონკურენციის განვითარების წინაპირობაა

ანგარიშვალდებულება და სტრუქტურა

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, როგორც დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დამოუკიდებლობისა და საჯაროობის პრინციპებით.

კომისია ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს მისი ვალდებულებიდან, იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. მისი საქმიანობა გამჭვირვალეა საზოგადოებისათვის; მისი სხდომები საჯარო და ღიაა დაინტერესებული პირებისათვის; იგი თავისი საქმიანობის შესახებ წლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს.

კომისია კოლეგიალურ ორგანოს წარმოადგენს. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის (მიღებულია 2004 წლის 23 დეკემბერს) თანახმად, კომისია შედგება ხუთი წევრისაგან. კომისია, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხმათა უმრავლესობით იღებს სამართლებრივ აქტებს: დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, თავმჯდომარე გამოსცემს ბრძანებებს. კომისიის სამართლებრივი აქტები შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრები

კომისიის თავმჯდომარე - გიორგი არველაძე

დაბადების

თარიღი: 1982 წლის 15 აპრილი

განათლება:

2004-2005 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, სახელმწიფო მმართველობის სამაგისტრო კურსი
სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის ხარისხი

1999-2003 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი
საბანკო საქმის სპეციალობა
ბაკალავრის ხარისხი

სამუშაო

გამოცდილება:

2007-2008 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, თავმჯდომარე

2006-2007 საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
გენერალური ინსპექციის უფროსი

2005-2006 „საქართველოს რკინიგზა“
გენერალური ინსპექციის უფროსი

2005-2005 საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
მინისტრის თანაშემწე

ენები: ქართული, ინგლისური და რუსული

ოჯახური მეუღლე და ერთი შვილი
მდგომარეობა:

კომისიი წევრი - სოფიო ბრიტანჩუკი

დაბადების

თარიღი: 1980 წლის 11 თებერვალი

განათლება:

2003-2005 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
საზოგადოებასთან ურთიერთობების მაგისტრის ხარისხი

1997-2002 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი
ბაკალავრის ხარისხი

სამუშაო

გამოცდილება:

2008- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
კომისიის წევრი

2006-2008 „ფონდი - ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“
საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი

2004- 2006 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
პრესმდივანი

2005-2006 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
მედიასთან ურთიერთობისა და ჟურნალისტიკის კურსი
საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლების კურსი
ლექტორი

2003 - 2004 სატელეკომუნიკაციო კომპანია „ტელენეტი“
მომსახურებისა და გაყიდვების მენეჯერი

1999 – 2003 ენერგოგამანაწილებელი კომპანია „ეი-ი-ეს თელასი“
საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი
(საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის მოვალეობის
შემსრულებელი 2003 წლის აპრილიდან 2003 წლის აგვისტომდე)

დამატებითი

ტრენინგები:

- 2005 საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
კავკასიის ჟურნალისტიკის და მედია მენეჯმენტის სკოლის მედია
მენეჯმენტის კურსი
სერტიფიკატი
- 2002 კონფლიქტების მენეჯმენტის ჯგუფი (CMG -
www.cmgroup.org) პროგრამა - „მომენტუმ“ (კონფლიქტების
გადაჭრა და მოლაპარაკებების თეორია) - კომუნიკაციის თეორია
და მოლაპარაკება. კემბრიჯი, მასაჩუსეტსი
- 2001 – 2002 კავკასიის აკადემიური ცენტრი - CAC
მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა
კრიზისის მენეჯმენტი
ლობირება; რეკლამა და პოზიციონირება
სერტიფიკატი
- 2000-2001 თბილისის ბიზნეს სკოლა
დასავლური საბუღალტრო კურსი
- 1999 მენეჯმენტის სკოლა
პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების კურსი
- ენები: ქართული, რუსული და ინგლისური

ოჯახური მეულლე და სამი შვილი
მდგომარეობა:

კომისიის წევრი - გიორგი ფრუიძე

დაბადების

თარიღი: 1968 წლის 23 სექტემბერი

განათლება:

- 2002-2004 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკის ფაკულტეტი
სპეციალობა - ფინანსები და საბანკო საქმე
- 1985-1992 საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი
ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი

სამუშაო

გამოცდილება:

- 2004-2009 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
კომისიის წევრი

- 2003-2004 სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“
თავმჯდომარის მოადგილე
 - 2001-2003 საქართველოს ქონების მართვის სამინისტრო
გენერალური ინსპექციის უფროსი
მინისტრის პირველი მოადგილე
 - 1996-2001 ქ. თბილისის მერია
ადმინისტრაციული ინსპექცია
განყოფილების უფროსი
 - 1994-1996 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური დეპარტამენტი
სამშენებლო სამმართველო
ინჟინერი
 - 1993-1994 სს „საქვეირაბშენი“
საკონსტრუქტორო ბიურო
ინჟინერი
- ენები:** ქართული, რუსული

ოჯახური

მდგომარეობა: მეუღლე და ერთი შვილი.

კომისიის წევრი - ზურაბ ნონიკაშვილი

დაბადების

თარიღი: 1957 წლის 6 ივლისი

განათლება:

1975-1980 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკულტეტი
სპეციალობა- მრეწველობის მგეგმავი ეკონომისტი

სამუშაო

გამოცდილება:

- 2005-2009 საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
კომისიის წევრი
- 2003-2005 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
კომისიის წევრი, კომისიის მდივანი, კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი
- 1993-2002 თავდაცვის სამინისტრო
მთავარი სახაზინო-საბიუჯეტო სამმართველოს საბიუჯეტო
სამმართველო
ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილება

- განყოფილების უფროსი
 1992-1993 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
 სასინჯი ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია
 მთავარი ბუღალტერი
- 1989-1992 მე-4 მაცივარკომბინატი
 საგემო-საწარმოო განყოფილების უფროსი
- 1981-1989 ს/გ „სამთო ქიმია“
 მთ. ბუღალტრის მოადგილე
- 1981-1981 ს/გ „თემქის სპეცსაკონსტრუქტორო ბიურო“
 ინჟინერი

დამატებითი

ტრენინგები:

- 1997 “NATO”-ს სკოლა
 გერმანია

წოდება: თადარიგის ოფიცერი

ენები: ქართული, რუსული

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ორი შვილი

კომისიის წევრი - კარლო კვიციანიშვილი

დაბადების

თარიღი: 1958 წლის 9 აგვისტო

განათლება:

- 1975 – 1980 ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი
 ქიმიის ფაკულტეტი
- 1984-1987 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის
 სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
 ასპირანტურის კურსი
 ნავთობქიმიის სპეციალობა

სამუშაო

გამოცდილება:

- 2007- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

- კომისიის წევრი
- 2007-2007 შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“
გენერალური დირექტორის მრჩეველი
- 2005-2007 შპს „ფოთის საზღვაო ნავსადგური“
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
- 2003 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
კომისიის წევრი
- კომისიის მდივანი
- 1981-2007 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის
სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის
თხევადი საწვავის ქიმიისა და ტექნოლოგიის ლაბორატორია
უფროსი ლაბორანტი
უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი
ლაბორატორიის გამგის მოადგილე

დამატებითი

ტრენინგები:

- 2001 კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი
ცენტრის „მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების
მოგვარების“ სამეტაპიანი კურსი

წოდება:

მეცნიერებათა კანდიდატი
ერთი საავტორო მოწმობა გამოგონებაზე

გამოქვეყნებული

სტატიები:

- 1984-1999 ოთხი სამეცნიერო სტატია
- 2003 საარჩევნო თემატიკაზე გამოქვეყნებული ხუთი ბროშურა

ენები:

ქართული, რუსული და ფრანგული

ოჯახური მდგომარეობა: მეუღლე და ორი შვილი

კომისიის ბიუჯეტი და ფინანსური რესურსები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2008 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის წლიური გეგმის მიხედვით, მიმდინარე წლის წლიურმა დარიცხულმა შემოსავალმა რეგულირების საფასურიდან, ნაცვლად 2008 წლის წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული 4,660,000.00 ლარისა (მათ შორის 1,300,000.00 ლარი სარეზერვო ფონდის ჩათვლით), შეადგინა 5,456,399.28 ლარი (ანგარიში თან ერთვის), რაც 796,399.28 ლარით, ანუ 17.09%-ით მეტია ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე (სარეზერვო ფონდის ჩათვლით). დარიცხული შემოსავლების ზრდის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობაზე ავტორიზებული პირების შემოსავლების ზრდა და 2007 წლის რეგულირების საფასურის გაანგარიშებების დაგვიანებით წარმოდგენა, ანუ 2007 წლის გარკვეული შემოსავლების დამატება 2008 წლის წლიურ შემოსავლებზე.

2008 წლის შემოსავლების ზრდასთან ერთად 490,454.00 ლარით, ანუ 12%-ით მეტია კომისიის 2008 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელმაც 4,460,008.00 ლარის ნაცვლად 4,950,462.00 ლარი შეადგინა.

მიუხედავად ხარჯვითი ნაწილის უმეტეს პუნქტებში მიღებული ეკონომიისა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეულ მუხლებში მაინც აღინიშნა გადახარჯვები. 2008 წლის ფაქტობრივი მონაცემებით, ბიუჯეტის ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომიით, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცალკეული პრიორიტეტული მუხლების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით კომისიამ, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მიზანშეწონილად ჩათვალა, გარკვეულ შემთხვევებში კორექტირება შეეტანა საოპერაციო დანახარჯების მუხლებში და ცალკეულ მუხლებში მიღებული ეკონომიით გამოთავისუფლებული დამატებითი ფინანსური რესურსების და გასულ წლებში არსებული ფინანსური რეზერვის საშუალებით დაეფინანსებინა სხვა პრიორიტეტული მუხლები. კერძოდ:

კომუნიკაციის, ელექტროენერჯისა და წყლის ხარჯმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 200,000.00 ლარისა, შეადგინა 232,071.00 ლარი, რაც 32,071.00 ლარით მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ წლიურ მაჩვენებელზე. ელექტროენერჯის მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 34,247.06 ლარი, წყლის ხარჯმა 9,176.80 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯმა 4,465.37 ლარი, ხოლო კომუნიკაციის ხარჯმა 184,181.77 ლარი, საიდანაც კომისიის ინტერნეტის და რადიომონიტორინგის სტაციონარული სისტემის სადგურებთან (ურთას მთა, ძეგვის მთა) კავშირისთვის თბილისი-ფოთის ციფრული (ოპტიკურ-ბოჭკოვანი) არხის იჯარის მომსახურების ხარჯი იყო 60,127.22 ლარი, ხოლო კომუნიკაციის ხარჯი- 124,054.55 ლარი.

ავტომატების საწვავის, შენახვისა და რემონტის ხარჯებმა 2008 წლის ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით შეადგინა 181,566.06 ლარი, რაც 31,566.06 ლარით, ანუ 21.04%-ით მეტია კომისიის ბიუჯეტით

დამტკიცებულზე. აღნიშნული ხარჯიდან 111,375.00 ლარი მოხმარებული საწვავის ხარჯია, ხოლო 70,191.06 ლარი კომისიის ბალანსზე არსებული ავტომანქანების რემონტის ხარჯი. ხარჯვითი ნაწილის გაზრდა გამოიწვია საწვავზე ფასების ცვალებადობამ, კომისიის საჭიროებისათვის ავტომანქანების რაოდენობის გაზრდამ, რადიომონიტორინგის სტაციონარული სისტემის სადგურებზე (ურთას მთა, ძეგვის მთა) მუდმივმა და რეგულარულმა მიმოსვლამ და მონიტორინგის ჯგუფის სამუშაო გასვლებმა.

კონფერენციებისა და სამუშაო სემინარების ჩატარების, კვალიფიკაციის ამაღლების, სპეციალისტთა და ექსპერტთა მომსახურებისა და სხვა ხარჯებმა წლიური ფაქტობრივი მონაცემებით შეადგინა 474,313.91 ლარი, ანუ გაწეული დანახარჯი 444,313.91 ლარით მეტია კომისიის ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე, რაც, ძირითადად, გამოწვეულია უცხოელი ექსპერტის მომსახურების ღირებულებით, რამაც, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით, შეადგინა 462,332.09 ლარი, აუდიტორულმა მომსახურებამ -1,500.00 ლარი, ხოლო მივლინებების დროს კონფერენციებში და სამუშაო სემინარებში მონაწილეობის გადასახადებმა 10,481.82 ლარი.

21,983.95 ლარით არის გაზრდილი სხვა საერთო ხარჯების მუხლით გათვალისწინებული დანახარჯები, რომლებმაც, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით დადგენილი 150,000.00 ლარისა, შეადგინა 171,983.95 ლარი. აღნიშნული გადახარჯვა გამოწვეულია: კომისიის მიერ სარეკლამო სააგენტოების მეშვეობით განცხადებების გავრცელებით - 5,518.00 ლარი, შენობის დაცვის ხარჯებით - 59,400.00 ლარი, კონდიციონერების გადატანის, მონტაჟისა და რემონტის ფაქტობრივი ხარჯებით - 4,176.30 ლარი, სადაზღვევო (სამედიცინო დაზღვევის ხარჯების გარდა) ხარჯებით - 16,386.58 ლარი, სანიტარიული მომსახურების ხარჯებით - 4,433.98 ლარი, სამეურნეო ხარჯებით - 51,337.68 ლარი; წინასწარ გაწეულმა სხვა ხარჯებმა (კარტრიჯების დატენვა, კომპიუტერების მაკომპლექტებელი ნაწილების შეძენა) შეადგინა 7,427.41 ლარი, კომპიუტერულ-პროგრამულმა და სხვა ხარჯებმა (ნოტარიუსის ხარჯები) ჯამში შეადგინა 600.00 ლარი, სადაზღვევო-სამედიცინო ხარჯებმა, საბიუჯეტო ანარიცხების ჩათვლით - 22,704.00 ლარი.

გადახარჯვას, აგრეთვე, შრომის ანაზღაურების წლიურ ფაქტობრივ ხარჯებში, რომლებმაც საბიუჯეტო ანარიცხებთან ერთად 3,495,397.65 ლარი, ანუ ბიუჯეტით დამტკიცებულზე 250,181.65 ლარით მეტი შეადგინა. აღნიშნული გადახარჯვა გამოიწვია კომისიის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით კომისიაში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ.

ამავე დროს, კომისიის 2008 წლის ბიუჯეტის ძირითად მუხლებში წლის განმავლობაში ფაქტობრივი შედეგების მიხედვით, მიღებულია ეკონომია, კერძოდ:

მივლინების წლიურმა ხარჯებმა, ნაცვლად კომისიის ბიუჯეტით გათვალისწინებული და დაგეგმილი 150,000.00 ლარისა, შეადგინა 116,731.26 ლარი. აღნიშნული თანხა 33,268.74 ლარით, ანუ 22.183%-ით ნაკლებია შესაბამის პერიოდში კომისიის ბიუჯეტით დადგენილ მაჩვენებელზე.

კომისიის საჭიროებისათვის ძირითადი საშუალებების შექენაზე გაწეულმა დანახარჯებმა შეადგინა 162,046.18 ლარი, რაც შესაბამის პერიოდში ბიუჯეტით დამტკიცებულზე 37,953.82 ლარით, ანუ 18.98%-ით ნაკლებია.

საკანცელარიო, საფოსტო, ჟურნალ-გაზეთების შექენისა და პოლიგრაფიული მომსახურების წლიურმა დანახარჯებმა 47,277.57 ლარი, ანუ დაგეგმილზე 2,722.43 ლარით (5.44%-ით) ნაკლები შეადგინა. მათ შორის: საკანცელარიო ხარჯებმა შეადგინა 8,455.85 ლარი, საფოსტო ხარჯებმა – 7,083.22 ლარი, პოლიგრაფიულმა ხარჯებმა – 19,576.00 ლარი, ხოლო ჟურნალ-გაზეთების გამოწერის ხარჯებმა – 12,162.50 ლარი.

სამეცნიერო და საკონსულტაციო სამუშაოთა ხარჯებმა შეადგინა 1,500.00 ლარი, ანუ კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულზე 48,500.00 ლარით (97.00%-ით) ნაკლები.

კომისიის ოფისის მიმდინარე რემონტის მუხლით, მიუხედავად კომისიის 2008 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი სამუშაოებისა, რომლებისთვისაც გამოყოფილი იყო 70,000.00 ლარი, 2008 წელს სამუშაოები არ შესრულებულა.

წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით განსაზღვრულმა ხარჯებმა 2008 წლის ფაქტობრივი მონაცემების შესაბამისი პერიოდის მიხედვით, ნაცვლად ბიუჯეტით გათვალისწინებული 15,000.00 ლარისა, შეადგინა 10,514.98 ლარი, რაც 4,485.02 ლარით ნაკლებია კომისიის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებულ მაჩვენებელზე.

ეკონომიაა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ძირითად ხარჯვით ნაწილშიც, რომელმაც, ნაცვლად კომისიის 2008 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული 114,792.00 ლარისა, შეადგინა 39,928.68 ლარი, ანუ 74,863.32 ლარით ნაკლები.

2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ლიცენზიის მფლობელი 41 კომპანიის მხრიდან სალიცენზიო გადასახდელების დავალიანება შეადგენს 328,814.36 ლარს.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „რეგულირების საფასურის ოდენობა ავტორიზებული პირის, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ ერთობლივ შემოსავალსა (დღგ-ის გარეშე) და იმავე საანგარიშო თვეში სხვა ავტორიზებული პირების მიერ დაშვების ან/და ურთიერთჩართვის გაწეულ მომსახურებაზე აღიარებულ გადასახდელებს შორის სხვაობის 0.5 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური“.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „რეგულირების ყოველწლიური საფასურის გადამხდელები არიან ლიცენზიის მფლობელები. რეგულირების ყოველწლიური საფასურის ოდენობა არა უმეტეს 0.5 პროცენტი ლიცენზიის მფლობელის შემოსავლიდან, რომელშიც შედის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ერთობლივი შემოსავალი (დღგ-ის გარეშე).

რეგულირების ყოველწლიური საფასური გამოიანგარიშება კალენდარული წლის განმავლობაში ლიცენზიის მფლობელის შემოსავლიდან ნაზარდი ჯამით წლის დასაწყისიდან ყოველთვიურად ფაქტობრივად მიღებული შემოსავლიდან გამომდინარე. ლიცენზიის მფლობელები ვალდებული არიან, ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების ყოველწლიური საფასური და წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით”.

აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა მოქმედი კანონმდებლობის და ლიცენზიით განსაზღვრული პირობების დარღვევას წარმოადგენს.

ლიცენზიის მფლობელი ზოგიერთი კომპანიის და ავტორიზებული პირის მხრიდან ჯერ კიდევ აქვს ადგილი რეგულირების საფასურის გაანგარიშებების კომისიაში დიდი დაგვიანებით წარმოდგენის ფაქტებს, რაც აფერხებს საანგარიშო პერიოდში შესაბამისი შემოსავლების ზუსტი ოდენობის დროულ დადგენას.

კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშებების ანალიზიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბოლო ორი და მეტი თვის განმავლობაში რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები არ წარმოუდგენია და საფასური არ გადაუხდია ლიცენზიის მფლობელ ან/და ავტორიზებულ 107 კომპანიას; რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები წარმოადგინა და საფასური არ გადაიხადა ლიცენზიის მფლობელმა ან/და ავტორიზებულმა 25-მა კომპანიამ, ხოლო რეგულირების ყოველწლიური საფასური გადაიხადა და გაანგარიშებები არ წარმოუდგენია ლიცენზიის მფლობელ და ავტორიზებულ 12 კომპანიას.

ნულოვანი რეგულირების ყოველწლიური საფასურის გაანგარიშებები წარმოადგინა 54-მა კომპანიამ.

კომისიის მიმართ არსებულმა მთლიანმა დავალიანებამ 2008 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 1,237,828.57 ლარი (ფორმა №8), რომელიც ერიცხება ავტორიზებულ და ლიცენზიის მფლობელ 70 კომპანიას.

2008 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები:

ა) დარიცხული შემოსავლები:

რეგულირების საფასური და სხვა შემოსავლები-----5,456,399.28 ლარი

ბ) საოპერაციო ხარჯები----- 4,788,415.82 ლარი

გ) ძირითადი საშუალებების შეძენის ხარჯები----- 162,046.18 ლარი

დ) ფინანსური რეზერვის ფონდი----- 252,968.64 ლარი

(ფინანსური რეზერვის გარეშე)

2008 წლის ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით, კომისიის შემოსავლების ხარჯებზე გადამეტება 505,937.28 ლარს შეადგენს.

2008 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

2008 წელს მარეგულირებელ კანონმდებლობაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- **2008 წლის 27 ივნისს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში** შეტანილი ცვლილებები განპირობებული იყო მაუწყებლობის სფეროში დინამიკური ტექნოლოგიური განვითარებით, რომელმაც აუცილებელი გახდა ამ სფეროს სამართლებრივი საფუძვლების თანამედროვე პირობების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. აუცილებელი გახდა სამართლებრივ ნორმებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რისი მიზანი იყო მაუწყებლობის სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი რეგულირების პრინციპების განსაზღვრა.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით და ამ კანონში შეტანილი ცვლილებებით ძალადაკარგულად ჩაითვალა „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონი. შესაბამისად, აუცილებელი გახდა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც წარმოიქმნა „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდეგ. კერძოდ, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ტერმინი „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონი შეიცვალა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ასევე იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით გასწორდა ის ხარვეზები, რაც გამოწვეული იყო „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადებით. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას.

- **2008 წლის 15 ივლისს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“** ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აღნიშნული კოდექსის 144¹-ე მუხლის რედაქციას დაემატა არაავტორიზებული საქმიანობა, როგორც დასჯადი ქმედება, კერძოდ, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზაციის გარეშე საქმიანობა წარმოადგენს ისეთივე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, როგორც ულიცენზიოდ ან/და მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობა.

ცვლილებების შედეგად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ან/და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ელექტრონული კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციისა და ლიცენზიის, ასევე მინიჭების გარეშე რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობისთვის განისაზღვრა ადმინისტრაციული ჯარიმა პირველად ჩადენილი ქმედებისთვის - 50,000 ლარის ოდენობით, განმეორებით ჩადენილი ქმედებისთვის - 500,000 ლარის ოდენობით, ხოლო მესამედ და მეტჯერ ჩადენილი იმავე ქმედებისთვის - 1,000,000 ლარის ოდენობით.

- **2008 წლის 23 ოქტომბერს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“** საქართველოს კანონის მიღება განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში პერმანენტულად ხორციელდებოდა რუსეთის ფედერაციის რეზიდენტთა მიერ უშუალოდ ან მათი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი (შვილობილი) აფხაზური და ოსური კომპანიების უკანონო ეკონომიკური საქმიანობა. აღნიშნული კანონით განისაზღვრა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო ეკონომიკური საქმიანობა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არა მარტო იმ პირებისთვის, ვინც უშუალოდ ახორციელებს უკანონო ეკონომიკურ საქმიანობას, არამედ დაკავშირებული პირებისთვისაც.
- **2008 წლის 19 დეკემბერს „მაუწყებლობის შესახებ“** საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები და დამატებები მიზნად ისახავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კომისიის წევრების ახლებურად დანიშვნას. კერძოდ, ცვლილებების შედეგად, კომისიის ერთი წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურას ასახელებს საპარლამენტო უმრავლესობა, ასევე, კომისიის ერთი წევრის ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურას ასახელებენ ის საპარლამენტო ფრაქციები (ფრაქცია), რომლებიც არ არიან გაერთიანებული უმრავლესობაში, ან/და პარლამენტის დამოუკიდებელი წევრები.
- **2008 წლის 26 დეკემბერს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ვერ იქნა მიღებული ნუმერაციის ერთიანი ეროვნული გეგმა, რამაც აუცილებელი

გახადა კანონმდებლობაში ცვლილების შეტანა ნუმერაციის ახალ სისტემაზე გადასვლასთან მიმართებაში, კერძოდ, ნუმერაციის ერთიან სისტემაზე გადასვლის ვადა განისაზღვრა 2011 წლის 1 იანვრამდე.

თავი II

განხორციელებული სამუშაოები

დადგენილებები

2008 წელს კომისიამ მიიღო ორი დადგენილება:

- 2008 წლის 19 თებერვალს „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N 13 დადგენილებაში ცვლილების შეტანა მიზნად ისახავდა, რომ სააბონენტო ნუმერაციის და/ან ციფრების სამნიშნა კომბინაციის გამოყენებით საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობა მიახლოებული ყოფილიყო სააბონენტო ნუმერაციის ან/და ციფრების სამნიშნა კომბინაციის გამოყენებით საქმიანობისთვის ჩატარებულ აუქციონებზე დაფიქსირებულ საშუალო ღირებულების ოდენობასთან.
- 2008 წლის 1 თებერვალს „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შედეგად განისაზღვრა რადიოსიხშირული სპექტრის კონკრეტულ დიაპაზონში და მთელი საქართველოს ტერიტორიაზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის განსაზღვრისათვის გადამცემი სადგურების ჯამური რაოდენობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე: 900 მჰც, 1800 მჰც, 1900 მჰც, 2200 მჰც, 3500 მჰც და 5 გჰც სიხშირულ დიაპაზონებში. ამავე დროს, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ღირებულების განსაზღვრისას კავშირის კოეფიციენტი განისაზღვრა საქმიანობის სახეობების, კერძოდ, შიდატექნოლოგიური საქმიანობის, ტელერადიომუშაობის და ავტორიზებული პირების მიერ რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბოლო მომხმარებელზე მიწოდების მიხედვით.

გადაწყვეტილებები

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წელს მიიღო სულ 768 გადაწყვეტილება, აქედან:

გადაწყვეტილების ტიპი	რაოდენობა
კომისიის დღის წესრიგის დამტკიცება	55
სამოყვარული რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულთათვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ	13
საზღვაო ხომალდებისათვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭება	8
რადიოსიხშირეებისა და/ან ნუმერაციის მინიჭება დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით	341
ლიცენზირება	116
ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება	19
რადიოსარელეო სიხშირის მინიჭება	24
დავები	64
ადმინისტრაციული საქმის წარმოება	47
სხვადასხვა	81

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით კომისიაში შემოსულია 44 წერილი, სადაც ძირითადად მოთხოვნილი იყო: კომისიის სხდომის ოქმები, ოქმების ამონაწერები და კომისიის გადაწყვეტილებები; კომისიის შესახებ ინფორმაცია; კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიების და ავტორიზაციის მოწმობების ასლები; ლიცენზიის მფლობელი კომპანიების სხვადასხვა სახის მონაცემები; ინფორმაცია სამაუწყებლო კომპანიების თაობაზე; საფინანსო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია; აგრეთვე სხვადასხვა სახის ინფორმაცია. პასუხი გაცემულია მთელ კორესპონდენციაზე.

ლიცენზირება

2008 წელს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან 116 სხვადასხვა ფორმით შეეხება ლიცენზირების თემას. ქვემოთ მოცემულია ცნობები აღნიშნული გადაწყვეტილებების შესახებ¹:

ლიცენზიების გაუქმება

მიღებული გადაწყვეტილებებიდან სამი ითვალისწინებს ლიცენზიის გაუქმებას.

¹ აღნიშნული გადაწყვეტილებების განხილვისას საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი გადაწყვეტილება (172) მითითებულია როგორც გადაწყვეტილება აუქციონის ჩაშლის, ისე აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ.

- №17 გადაწყვეტილებით გაუქმებულია „თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ლიცენზია, რომელიც მას აღებული ჰქონდა 2005 წელს. ლიცენზიის სახე იყო კერძო მაუწყებლობა, ხოლო ლიცენზიის საგანი - საკაბელო ტელემაუწყებლობა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული კომპანია არ აწარმოებდა ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას, რაც, კანონის მიხედვით, ლიცენზიის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს.

- №158 გადაწყვეტილებით გაუქმებულია შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ის ლიცენზია. აღნიშნული კომპანია 1998 წლიდან ფლობდა ლიცენზიას სპეციალიზებულ მაუწყებლობაზე და მისი ლიცენზიის საგანი იყო საეთერო ტელერადიომაუწყებლობა (ტელეშოპინგი). კომპანიის ხელმძღვანელობამ თავად მიმართა კომისიას ლიცენზიის გაუქმების შესახებ. მოგვიანებით შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა კომისიას და ითხოვა ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა დაინტერესებული მხარის სახით. განცხადებაში ასევე აღინიშნა, რომ შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ის დირექტორმა ერთპიროვნულად, პარტნიორებთან შეთანხმებისა და პარტნიორთა კრების თანხმობის გარეშე, მოითხოვა კომპანიის საეთერო ტელემაუწყებლობის №499 ლიცენზიის გაუქმება. კომისიაში განცხადების განხილვის დროს გამოცხადდა შპს „ტელეკომპანია ობიექტივი-2“-ის ახალი დირექტორის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ კომპანია არ აპირებს შეწყვეტილი მაუწყებლობის განახლებას და მხარი დაუჭირა შპს „ტელეკომპანია ობიექტივი 2“-ის მოთხოვნას ლიცენზიის გაუქმების თაობაზე.

- № 710 გადაწყვეტილებით გაუქმებულია შპს „ახტელის“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია, რომელსაც იგი 2007 წლიდან ფლობდა და რომელიც ითვალისწინებდა ქ. ბათუმში მინიჭებული ნუმერაციის რესურსის ათვისებას. სალიცენზიო ვალდებულების მიხედვით, ლიცენზიის გაცემიდან ერთი წლის ვადაში კომპანიას უნდა აეთვისებინა რესურსის 10 პროცენტი, რაც არ განხორციელდა.

ლიცენზიების მოდიფიცირება

2008 წელს კომისიის გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა 8 ლიცენზია. აქედან:

- სამი გადაწყვეტილება (№55, №205 და №741) შეეხებოდა შპს ტელეკომანია „რუსთავი 2“-ის ლიცენზიის მოდიფიცირებას. ყველა შემთხვევაში მოდიფიცირება განხორციელდა „რუსთავი 2“-ის მოთხოვნით. აქედან ორი ითვალისწინებდა განსაზღვრული სიხშირეების სხვა დეციმეტრული არხებით შეცვლას, ხოლო ერთ შემთხვევაში კომპანიის კუთვნილი №908 ლიცენზია მოდიფიცირდა

სპეციალიზებულ (შემეცნებით-მუსიკალურ-გასართობ) ტელემაუწყებლობის ლიცენზიად.

- № 539 გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა ასოციაცია (კავშირი) „ათინათის“ კერძო საერთო საეთერო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზია (ქ. ზუგდიდი). კომპანიამ მოითხოვა სიმძლავრეების გაზრდა.
- № 326 გადაწყვეტილებით განმარტება შევიდა შპს „მაგთიკომის“ მფლობელობაში არსებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის სამ ლიცენზიაში, დაკონკრეტდა ჩანაწერი და, შესაბამისად, ვალდებულება: „საქართველოს მთელი ტერიტორიის დაფარვა“.
- № 407 გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა შპს „ვაიმაქს ჯორჯიას“ რადიოსიხშირული სპექტრისა და შპს „ტელეკომპანია I სტერეოს“ ლიცენზიები. აღნიშნულმა კომპანიებმა ერთობლივი განცხადებით მიმართეს კომისიას და მოითხოვეს რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებში რადიოსიხშირული ზოლის ნაწილის გამოყენებაზე მითითებული მეორადი გამოყენების უფლების მოხსნა.
- № 712 გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა შპს „სტუდია მაესტროს“ № B87 ლიცენზია. აღნიშნული ლიცენზიის სახეობა იყო სპეციალიზებული (შემეცნებით-მუსიკალურ-გასართობი), ხოლო მოდიფიცირების შემდეგ საერთო ტელემაუწყებლობის სახეობად გადაკეთდა. კომისიის 2008 წლის №279 გადაწყვეტილების შესაბამისად, ტელერადიომაუწყებლობის პრიორიტეტების დადგენამდე კომისიას შეჩერებული აქვს ახალი ლიცენზიების გაცემა და მოქმედ ლიცენზიებში ლიცენზიის სახისა და სახეობის თაობაზე ცვლილება-დამატებების შეტანა. მიუხედავად ამისა, კომისიამ იხელმძღვანელა ქ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 27 ოქტომბერს დამტკიცებული მორიგების აქტით და კანონით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყო შპს „სტუდია მაესტროს“ კერძო სპეციალიზებული მაუწყებლობის № B87 ლიცენზიის კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიად მოდიფიცირება, ნაცვლად მის მიერ მოთხოვნილი ახალი კერძო საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემისა, რაზეც შპს „სტუდია მაესტროს“ უარი ეთქვა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლის „გ“ პუნქტის საფუძველზე.
- № 742 გადაწყვეტილებით შპს „ჩვენი რადიოს“ მოთხოვნის საფუძველზე მოდიფიცირდა მისი B72 ლიცენზიით (კერძო საერთო რადიომაუწყებლობა) განსაზღვრული სამაუწყებლო სიხშირე.

ლიცენზიის გადაპირება

2008 წელს კომისიას 15-მა კომპანიამ მიმართა ლიცენზიების გადაპირების შესახებ (ყველა შემთხვევა დაკმაყოფილებული იქნა):

- № 124 - შპს „სელკომსა“ და შპს „ჯითიკომს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (F50) ნაწილის გადაპირება;
- № 157 - შპს „სელკომსა“ და შპს „ალექსანდრე +“-ს შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (F50) ნაწილობრივი გადაპირება;
- № 220 - შპს „მინეტა ვენჩერზ ეს ეი“-ს და სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის (F11) გადაპირება;
- № 221 - შპს „ლუნეტსა“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N105 ლიცენზიის გადაპირება (8-7-6);
- № 334 - შპს „ტელეკომპანია პირველ სტერეოსა“ და შპს „ვაიმექს ჯორჯიას“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F37 ლიცენზიის პირდაპირი და F29 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება;
- № 343 - შპს „ტექნონეტსა“ და შპს „ვაიმექს ჯორჯიას“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F47 და F52 ლიცენზიების ნაწილობრივი გადაპირება;
- № 407 - შპს „ტელეკომპანია I სტერეოს“ და შპს „ვაიმექს ჯორჯიას“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F37 ლიცენზიის პირდაპირი და F29 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება;
- № 452 - შპს „აჭარის ელექტროკავშირს“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N33 ლიცენზიის გადაპირება;
- № 453 - სს „ეგრისსა“ და შპს „ახალ ქსელებს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N22 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება;
- № 454 - სს „ტელენეტსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F6 ლიცენზიის გადაპირება;
- № 455 - სს „ტელენეტსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N56 ლიცენზიის გადაპირება;
- № 456 - სს „ტელენეტსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N75 ლიცენზიის გადაპირება;
- № 457 - სს „ტელენეტსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N78 ლიცენზიის გადაპირება;
- № 458 - სს „ტელენეტსა“ და შპს „კავკასუს ონლაინს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N79 ლიცენზიის გადაპირება;
- № 524 - შპს „ახალ ქსელებსა“ და შპს „ახტელს“ შორის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N34 ლიცენზიის ნაწილობრივი გადაპირება.

უარი ლიცენზიის გაცემა/მოდიფიცირებაზე

2008 წელს კომისიამ 3 შემთხვევაში უარი უთხრა კომპანიებს ლიცენზიის გაცემა/მოდიფიცირებაზე:

- გადაწყვეტილება № 190 - შპს „სტუდია მანესტროსთვის“ საკაბელო ქსელის გამოყენებით კერძო საერთო სამაუწყებლო ლიცენზიის გაცემის თაობაზე უარის თქმა. კომისიის 143-ე გადაწყვეტილებით შპს „მანესტროს“ მიმართ გამოყენებული იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 71-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სანქცია (გაფრთხილება სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო). კომისიამ იხელმძღვანელა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 42-ე მუხლით („გ“ ქვეპუნქტი), რომლის მიხედვით, „კომისია წარმოებაში არ მიიღებს ახალ სალიცენზიო ან სანებართვო განცხადებას, თუ იგი წარადგინა ლიცენზიის მფლობელმა ამ კანონით გათვალისწინებული დარღვევისათვის მის მიმართ კომისიის მიერ სანქციის გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებიდან 1 წლის განმავლობაში.“
- გადაწყვეტილება № 264 - შპს „ფიუჩერკომ ინვესტისთვის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმისა და რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად 2008 წლის 4 აპრილს ჩატარებული აუქციონის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ. 2008 წლის 4 აპრილის N173/8 გადაწყვეტილებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ფიუჩერკომ ინვესტი“, რომელმაც თანხმობა განაცხადა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 3,818,148.03 (სამი მილიონ რვაას თვრამეტი ათას ას ორმოცდარვა ლარი და სამი თეთრი) ლარის გადახდაზე. თანხის 30% გამარჯვებულ კომპანიას უნდა გადაეხადა ერთი თვის ვადაში საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიამ დაარღვია აღნიშნული პირობა, კომისიამ ჩაშლილად გამოაცხადა აუქციონი და შპს „ფიუჩერკომ ინვესტს“ უარი ეთქვა ლიცენზიის გაცემაზე.
- გადაწყვეტილება № 411 - შპს ტელეკომპანია „თანამგზავრის“ B25 ლიცენზიის მოდიფიცირებაზე უარის თქმის შესახებ. ტელეკომპანია „თანამგზავრმა“ მოითხოვა მისი კუთვნილი №B25 ლიცენზიით (კერძო საერთო მაუწყებლობა) განსაზღვრული სატელევიზიო გადამცემი სიგნალის მომატება. კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის, მონიტორინგისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დასკვნის შესაბამისად, ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა არ არის დასაბუთებული, რის გამოც მას უარი ეთქვა ლიცენზიის მოდიფიცირებაზე.

ლიცენზიის ვადის გაგრძელება

2008 წელს კომისიამ ლიცენზიის მოქმედების ვადა 10 წლით გაუგრძელა 6 კომპანიას:

- შპს „ტელეიმედის“ B16 კერძო საერთო სამაუწყებლო ლიცენზია (გადაწყვეტილება №202);

- შპს „ჯიტიკომის“ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F61 ლიცენზია (გადაწყვეტილება №237);
- შპს „ალექსანდრე +“-ის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F62 ლიცენზია (გადაწყვეტილება №238);
- შპს „ომეგას“ B61 კერძო საერთო სამაუწყებლო ლიცენზია (გადაწყვეტილება №461);
- შპს „ქართული სატელეფონო კომპანია GTC“-ის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N63 ლიცენზია (გადაწყვეტილება № 496);
- შპს „კავკასიის ციფრული ქსელების“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N18 ლიცენზია (გადაწყვეტილება № 583).

უარი ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე

სამ კომპანიას უარი ეთქვა ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე. სამივე შემთხვევაში კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის კანონით განსაზღვრულ ვადებში გადაუხდელობის გამო:

- უარი შპს „ჯიტიკომისათვის“ F61 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე;
- უარი შპს „ალექსანდრე +“-ისათვის რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის F62 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე;
- უარი შპს „კავკასიის ციფრული ქსელებისათვის“ ნუმერაციის რესურსით სარგებლობის N18 ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელებაზე.

კონკურსის გამოცხადება

2008 წელს კომისიის მიერ გამოცხადდა 5 კონკურსი. აქედან სამი (№26, №141, №142) შეეხებოდა კერძო საერთო ტელემაუწყებლობაზე, ერთი (№27) - კერძო სპეციალიზებულ რადიომაუწყებლობაზე, და ერთი - (№278) კერძო საერთო რადიომაუწყებლობაზე ლიცენზიის გაცემას.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა

2008 წელს კომისიის მიერ მიღებული ექვსი გადაწყვეტილება შეეხო კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის საკითხს:

- კერძო საერთო ტელემაუწყებლობა - ქ. ზუგდიდი - კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „აფხაზეთი TV“. სალიცენზიო გადასახდელი - 36,609 ლარი (გადაწყვეტილება №84 - აღნიშნული კონკურსი გამოცხადდა 2007 წელს);

- კერძო საერთო ტელემაუწყებლობა - ქ. ბათუმი - კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ტელეკომპანია საქართველო“. სალიცენზიო გადასახდელი - 40,343 ლარი (გადაწყვეტილება №144);
- კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობა - ქ. თბილისი. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ფოლკ რადიო“. სალიცენზიო გადასახდელი - 10,692 ლარი (გადაწყვეტილება №145);
- კერძო საერთო ტელემაუწყებლობა - ქ. თბილისი - კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „ალანია“. სალიცენზიო გადასახდელი - 52,812 ლარი (გადაწყვეტილება №269);
- კერძო საერთო ტელემაუწყებლობა - 16 გადამცემის გამოყენებით ქალაქებში: სიღნაღი, ბოლნისი, დუშეთი, მარტვილი, თერჯოლა, მარნეული, ლაგოდეხი, ხარაგაული, ქედა, სოფ. სიონი, სოფ. ხალა, სოფ. ნაბელაღვი, დაბა ბაკურიანი, დაბა მანგლისი, სოფ. კუმისი და სოფ. ოფრეთი. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა შპს „რუსთავი 2“. სალიცენზიო გადასახდელი - 192,360 ლარი (გადაწყვეტილება № 270);
- კერძო საერთო რადიომაუწყებლობა - 1422 კვც რადიოსიხშირის გამოყენებით; საშუალოტალღოვან დიაპაზონში - საქართველოს მთელი ტერიტორიის ფარგლებში. კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა მედიაცენტრი „ღია აფხეზეთისათვის“. სალიცენზიო გადასახდელი - 2016 ლარი (გადაწყვეტილება №414).

აუქციონის გამოცხადება

2008 წელს კომისიამ გამოაცხადა 22 აუქციონი. აქედან ცხრა შემთხვევაში - ციფრების სამნიშნა ან/და ოთხნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შვიდ შემთხვევაში - სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად და ექვს შემთხვევაში - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად.

აუქციონში გამარჯვებულის გამოცხადება

აუქციონებიდან 18 შემთხვევაში გამოცხადდა გამარჯვებული. სულ ჩატარებული აუქციონებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შევიდა 2,981,913 ლარი, აქედან:

- ციფრების სამნიშნა ან/და ოთხნიშნა კომბინაციის ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიებიდან - 379,350 ლარი;
- სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად ნუმერაციით სარგებლობის ლიცენზიებიდან - 267,000 ლარი;
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიებიდან - 2,335,563 ლარი.

2008 წელს კომისიამ მიიღო 24 გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის შესახებ. აქედან:

- ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზია - 15
- რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია - 3
- კერძო საერთო ტელემაუწყებლობის - 4
- კერძო საერთო რადიომაუწყებლობის - 1
- კერძო სპეციალიზებული რადიომაუწყებლობის - 1

აუქციონის ჩაშლილად გამოცხადება

აუქციონი ჩაშლილად გამოცხადდა ოთხ შემთხვევაში (გადაწყვეტილებები №172, №264, №591, №744). აქედან:

- ერთ შემთხვევაში ჩაიშალა აუქციონი, რომელიც გამოცხადებული იყო სააბონენტო ნუმერაციის გამოყენებით ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურების განსახორციელებლად გორის და გარდაბნის რაიონებში ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად. ნუმერაციის ამ რესურსით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად განაცხადი წარმოადგინა მხოლოდ სს „საქართველოს გაერთიანებულმა სატელეკომუნიკაციო კომპანიამ“, რომელმაც აუქციონის დაწყებამდე უარი განაცხადა აუქციონში მონაწილეობის მიღებაზე.
- ორ შემთხვევაში აუქციონის ჩაშლის მიზეზი იყო აუქციონში გამარჯვებული კომპანიის მიერ სალიცენზიო გადასახდელის გადაუხდელობა. 2008 წლის 4 აპრილს №173 გადაწყვეტილებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ფიუჩერკომ ინვესტი“, რომელმაც თანხმობა განაცხადა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 3,818,148 ლარის გადახდაზე. 2008 წლის 31 ოქტომბერს №629 გადაწყვეტილებით რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებულად გამოვლინდა სს „ქლიარსტრიმ ჯორჯია“, რომელმაც თანხმობა განაცხადა ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საფასურის - 9,312,582 ლარის გადახდაზე. ზემოაღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო გამოცხადებული აუქციონები ჩაშლილად გამოცხადდა.
- ერთ შემთხვევაში აუქციონი იმის გამო ჩაიშალა, რომ კომისიაში არ შემოსულა გამოცხადებული რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მიღების მსურველის განაცხადი.

ადმინისტრაციული სახელის დაკისრება

2008 წელს კომისიამ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და ცხრა შემთხვევაში გამოსცა გადაწყვეტილება კომპანიების გაფრთხილების შესახებ.

კომისიამ 2008 წლის მანძილზე გამოსცა 10 გადაწყვეტილება დაჯარიმების შესახებ. აქედან:

- ხუთ შემთხვევაში (ღია საზოგადოება „მეგაფონი” - ორჯერ, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო რადიოსადგური „ვესტი FM”, რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი მაუწყებელი და შპს „აჭარის ელექტროკავშირი”) - ულიცენზიოდ და ავტორიზაციის გარეშე საქმიანობისათვის;
- ორ შემთხვევაში - ნუმერაციის რესურსით უკანონოდ სარგებლობისათვის (შპს „ახალი ქსელები”);
- ორ შემთხვევაში - პრაქტიკული საქმიანობის დაუწყებლობისათვის (შპს „ატელი”, შპს „შავი ზღვის ტელეკომი”);
- ორ შემთხვევაში - საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნების დარღვევისათვის (შპს „ტელეიმედი” და შპს „მზე” - ერთი გადაწყვეტილებით). კომისიის მაუწყებლობის მონიტორინგის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ 2007 წლის დეკემბერში ტელეკომპანიების შპს „რუსთავი 2”-ის, შპს „მზისა” და შპს „ტელეიმედის” მიერ გადაცემული იყო საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, ჩატარებული საინფორმაციო ცენტრ „საერთო ევროპული საქმის” მიერ. აღნიშნული ინფორმაციის გადაცემა არ შეესაბამება საკანონმდებლო ნორმას, კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 731-ე მუხლის მე-8 ნაწილის ბ) და ვ) ქვეპუნქტების მოთხოვნებს. კომისიამ მიიჩნია, რომ ადგილი აქვს საქართველოს საარჩევნო კოდექსის დარღვევას.

რადიოსარელო სიხშირეების მინიჭება

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 47^ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კომისია უფლებამოსილია, ავტორიზებულ პირებს, რომლებსაც ავტორიზებული საქმიანობის განსახორციელებლად დამხმარე ტექნოლოგიური, არაკომერციული დანიშნულებით ესაჭიროებათ რადიოსარელო ქსელი ან რადიოსარელო ხაზის ერთი ან რამდენიმე მონაკვეთი, მათ მიერ კომისიაში შეტანილი განაცხადის შესაბამისად, რომელიც უნდა შეიცავდეს ქსელისა და სადგურების ძირითად ტექნიკურ მახასიათებლებს, 10 წლის ვადით მიაწიოს რადიოსიხშირეები აუქციონის

გამართვის გარეშე. ამ შემთხვევაში რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად პირი იხდის აუქციონის საწყისი საფასურის ოდენობას, რომელიც განისაზღვრება „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით“. 2008 წელს კომისიამ აღნიშნული უფლება გამოიყენა 24 შემთხვევაში. აღნიშნული საქმიანობის შედეგად საქართველოს ბიუჯეტში გადაირიცხა 2,181,221 ლარი.

რადიოსიხშირებისა და ნუმერაციის მინიჭება დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47^ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, „არავტორიზებად პირებს, რომელთა საქმიანობა არ არის დაკავშირებული საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფასთან ან/და ამ ქსელებითა და საშუალებებით მომსახურების მიწოდებასთან, მაგრამ საქმიანობისას საჭიროებენ რადიოსიხშირების ან/და ნუმერაციის დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით გამოყენებას, კომისია ანიჭებს რადიოსიხშირებს ან/და ნუმერაციას დამხმარე ტექნოლოგიური დანიშნულებით დროებით, 1 წლის ვადით გამოყენებისათვის.“ კომისიამ გამოიყენა აღნიშნული უფლება და სხვადასხვა კომპანიას 322 შემთხვევაში მიანიჭა რადიოსიხშირე, ხოლო 19 შემთხვევაში ნუმერაციის რესურსი.

ბაზრის კვლევა

2008 წელს ჩატარდა ფიქსირებული და მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევა და ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევა.

ფიქსირებული და მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორების საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების ბაზრის სეგმენტებზე კონკურენციის კვლევა და ანალიზი

კომისიამ 2005 წელს ერთხელ უკვე ჩატარა მომსახურების ბაზრის სეგმენტის-ადგილობრივ სატელეფონო ქსელში ზარის წამოწყების/დასრულების მომსახურების კვლევა და ანალიზი, გამოავლინა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებიც, თუმცა, მინიმალური ჩარევის პრინციპიდან გამომდინარე, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულების და ზღვრული ტარიფის დადგენა არ განხორციელებულა. 2008

წელს აღნიშნული კვლევის ჩატარებას საფუძვლად დაედო მთელი რიგი კომპანიების განცხადებები. კვლევისა და ანალიზის ფარგლებში კომისიამ განსაზღვრა საბითუმო ბაზრის სეგმენტები და გეოგრაფიული საზღვრები:

- ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ზარების წამოწყების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;
- ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ზარების დასრულების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;
- მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ზარების წამოწყების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;
- მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ზარების დასრულების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტი;
- გეოგრაფიულ საზღვრებად ფიქსირებული საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებთან მიმართებაში განისაზღვრა ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. ზუგდიდი, ქ. ფოთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და დანარჩენი საქართველო, ხოლო მოძრავი საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორებთან მიმართებაში - მთელი საქართველო.

კვლევისა და ანალიზის ფარგლებში:

- კომისიამ განსაზღვრა ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და სატელეფონო ზარების დასრულების საბითუმო ბაზრის შესაბამისი სეგმენტებთან სატელეფონო მომსახურების მჭიდროდ დაკავშირებული საცალო ბაზრის სეგმენტები და შესაბამისი გეოგრაფიული საზღვრები;
- ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის საბითუმო სეგმენტებზე გამოვლინდა შემდეგი მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირები:
 - ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
 - შპს „აზალი ქსელები“
 - შპს „ახტელი“
 - ქ. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - შპს „აზალი ქსელები“

- ქ. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“
- ქ. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
- ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
 - შპს „ივერია ქსელი“
- აჭარის ავტ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე:
 - შპს „აჭარის ელექტროკავშირი“
- საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
- მოძრავი საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე შემდეგი პირები:
 - საქართველოს მთელი ტერიტორია
 - შპს „მაგთიკომი“
 - შპს „ჯეოსელი“
 - ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების კონკრეტული ოპერატორის ძირითადი ქსელის საკომუტაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის, სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების საბითუმო ბაზრის შესაბამის სეგმენტებთან მჭიდროდ დაკავშირებულ, სატელეფონო მომსახურების საცალო ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე გამოვლინდა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე შემდეგი პირები:
 - ქ. თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
 - შპს „ახალი ქსელები“
 - შპს „ახტელი“
 - ქ. ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - შპს „ახალი ქსელები“
 - ქ. რუსთავის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია“
 - ქ. ფოთის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
 - ქ. ზუგდიდის ადგილობრივი მომსახურების ზონაში:

- სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
- შპს „ივერია ქსელი“
- აჭარის ავტ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე:
 - შპს „აჭარის ელექტროკავშირი“
- დანარჩენი საქართველოს ტერიტორიაზე:
 - სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
- მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე პირებს დაეკისრათ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების, დანახარჯებისა და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის ვალდებულებები სხვადასხვა კონკრეტული პირობებით.

ინტერნეტის ქსელით მომსახურების საბითუმო ბაზრის კვლევა და ანალიზი

2007 წელს კომისიამ ჩაატარა ინტერნეტის ქსელით საცალო და საბითუმო მომსახურების ბაზრის შესწავლა და გამოავლინა მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების ოპერატორი. 2008 წელს კომისიაში შემოსულ განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ ერთ-ერთი კომპანია ბოროტად იყენებდა მის საბაზრო ძალაუფლებას და ინტერნეტის ქსელით საბითუმო მომსახურებისთვის, გაფართოებული ურთიერთჩართვისთვის ადგენდა ტარიფებს, რომლებიც არ იყო ხარჯებზე ორიენტირებული. აღნიშნული განცხადება საფუძვლად დაედო ახალი კვლევისა და ანალიზის ჩატარებას.

კვლევის შედეგად განისაზღვრა ინტერნეტის ქსელით საბითუმო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები, რომელთაც დაეკისრათ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, დისკრიმინაციის აკრძალვის და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელის შესაბამის ელემენტებთან დაშვების, დანახარჯების და შემოსავლების განცალკევებულად აღრიცხვის და სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულებები. მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორები არიან:

1. შპს „კავკასუს ონლაინი“
2. სს „საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია“
3. სს „ეგრისი“
4. შპს „რკინიგზის ტელეკომი“
5. შპს „ნამიო“
6. შპს „ვანექსი“
7. შპს „სერვისი“
8. შპს „გრენა“
9. შპს „კავკასიის ციფრული ქსელები“

10. შპს „ჯეონეთი“
11. შპს „ულტრაკომი“
12. შპს „გლობალ ერთი“

ზემოთ ჩამოთვლილ ოპერატორებს დაევალებათ, ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში, ინტერნეტის ქსელით საბითუმო მომსახურების მიწოდების შეთავაზების (მოწვევის ოფერტის) პირობების გამოქვეყნება.

ამასთან, შპს „კავკასუს ონლაინსა“ და სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას“ დამატებით, სატარიფო რეგულირებისა და ხარჯთაღრიცხვის სპეციფიკური ვალდებულების ფარგლებში, დაუდგინდათ გაფართოებული ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფი 5000 ლარი ერთ გბიტ/წამზე თვეში, დღგ-ის გარეშე.

ავტორიზაცია

2008 წელს ავტორიზაცია გაიარა 41 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა შემდეგ მომსახურებებზე (ერთი და იგივე კომპანია ავტორიზაციას გადის რამდენიმე მომსახურებაზე):

- ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურება - 22
- ინტერნეტით მომსახურება - 36
- საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა -18
- საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 18
- მობილური საკომუნიკაციო მომსახურება - 9
- საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 20
- სამაუწყებლო მომსახურება - 5
- საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობა - 8
- სხვა საკომუნიკაციო მომსახურება - 8

2008 წელს კომისიას ავტორიზაციის გაუქმების თხოვნით მიმართა 3-მა ინდივიდუალურმა მეწარმემ. სეგმენტების მიხედვით გაუქმებული დეკლარაციები შემდეგნაირად ნაწილდება:

- საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 1
- ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურება - 1
- საქალაქთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 1
- ინტერნეტით მომსახურება - 3

ზემოთ აღნიშნული გაუქმებული დეკლარაციებიდან არც ერთ ინდივიდუალურ მეწარმეს საერთოდ არ დაუწყია საქმიანობა.

რადიოსიხშირების მართვა, მონიტორინგი და კოორდინაცია

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ფუნქციონირებს რადიოსიხშირეთა მართვის, მონიტორინგისა და კოორდინაციის დეპარტამენტი. სახელწოდებიდან გამომდინარე, დეპარტამენტი მრავალფუნქციურია. შესაბამისად, ქვემოთ, მიმართულებების მიხედვით, წარმოდგენილია დეპარტამენტში შესრულებული ძირითადი სამუშაოები.

2008 წლის განმავლობაში რადიოსიხშირული სპექტრის რესურსების მართვის და მონიტორინგის კუთხით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- რადიოხელშეშლების გამოვლენისას სისტემატურად განიხილებოდა მომხმარებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც შესაბამისი სამუშაოების ჩატარების მიზნით გადაეცემოდა დეპარტამენტის ტექნიკურ პერსონალს.
- საქართველოში მაღალსიხშირული მოწყობილობების შემოტანაზე წარმოდგენილი მასალების განხილვის შედეგად კომპანიებისთვის გაიცა 310 შესაბამისი დოკუმენტი ტვირთის განსაბაჟებლად. შექმნილია შესაბამისი მონაცემთა ბაზა.
- საქართველოს სახელმწიფო დროშით მცურავი ხომალდებისთვის სახმობების და ამოცნობის ნიშნების მინიჭებასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის განხილვის შედეგად მომზადებული იქნა 8 გადაწყვეტილება 41 ხომალდისათვის.
- სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად რადიომოყვარულებისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭებასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა 13 გადაწყვეტილება, აგრეთვე შეიქმნა რადიომოყვარულების საანკეტო მონაცემების ბაზა.
- დადგინდა რადიოსიხშირული ზოლების სიხშირული საზღვრები სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისთვის: უსადენო ფართოზოლოვანი ქსელები, უსადენო ლოკალური ქსელები, რადიოსარელო ხაზები, რადიოსანავიგაციო და რადიოსალოკაციო სისტემები, საფრენ აპარატებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის სისტემები (მიწა-ჰაერი, ჰაერი-მიწა).
- სხვადასხვა კომპანიისთვის შერჩეული იქნა რადიოსარელო სიხშირეები და სიხშირული წყვილები გარკვეულ მიმართულებებზე (პუნქტიდან პუნქტამდე) რადიოსარელო სადგურების ფუნქციონირებისთვის. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დადგენილი იქნა სიხშირული რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობა.
- ხორციელდებოდა ელექტრომაგნიტურად ურთიერთგავლენის ქვეშ მყოფი გამომსხივებლების შემთხვევებში, საერთო ზონებში დაცვითი თანაფარდობების ანალიზი და ტექნიკურად მისაღები დონეების შენარჩუნების პირობების დადგენა.

- მომზადდა ოცდაათზე მეტი პროექტი რადიოსარელო სიხშირეების, მონაცემთა გადაცემის ლოკალური ქსელების ფუნქციონირებისთვის სიხშირული ზოლების, მოკლელტალდათა (HF) მეტრულ (VHF) და დეციმეტრულ (UHF) ტალდათა დიაპაზონებში ფიქსირებული სიხშირეების მინიჭების შესახებ.
- ძალოვანი სტრუქტურებისთვის სიხშირეთა მინიჭების დროს გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა უწყების ფუნქციონირების შესაძლებლობა საერთო სიხშირულ ზოლებში.

2008 წელს მონაცემთა ბაზის მართვისა და მონიტორინგის პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- შემუშავდა პროგრამული საშუალება, რამაც შესაძლებელი გახადა რეესტრის მონაცემთა ბაზისა და არსებული მონაცემების ურთიერთდაკავშირება; დამუშავდა მათემატიკური მოდელი სხვადასხვა ერთეულის გაანგარიშებისათვის და განხორციელდა მისი შემდგომი ინტეგრაცია არსებულ სისტემაში.
- დამუშავდა სამაუწყებლო ზონები რეესტრთან მიმართებაში.
- შემუშავდა EDX პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისი მისი შემდგომი ინტეგრირებისათვის კომისიის მიერ შექმნილ პროგრამულ უზრუნველყოფაში.
- მოძიებული იქნა ვიდეომასალის ჩაწერის საშუალების მქონე პროგრამული უზრუნველყოფა და მოხდა მისი სერვერზე ინტეგრირება და გამართვა.
- შეიქმნა და დაინერგა მეთოდოლოგია და პროგრამული უზრუნველყოფა ყოველდღიური მონიტორინგის ჩასატარებლად, კერძოდ: შეიქმნა მონაცემთა ბაზა, სადაც ინახება ყველა საეთერო ტელერადიომაუწყებლის სიგნალის ვიზუალური გამოსახულება თბილისისა და დასავლეთ საქართველოში განთავსებულ სტაციონარული მონიტორინგის სადგურზე ანალიზატორის მონაცემების მიხედვით; მიმდინარეობდა ყოველდღიური მონიტორინგი (4 საათში ერთხელ) და მონაცემების შენახვა; მონაცემების სიდიდიდან გამომდინარე, მიმდინარეობდა ბაზის სარეზერვო კოპირება, გარკვეული რაოდენობის შემდეგ მისი გადატანა და დუბლირება.
- ხორციელდებოდა ორგანიზაციების საანკეტო მონაცემების დამუშავება. სიხშირეთა მართვის, მონიტორინგისა და კოორდინაციის დეპარტამენტის სერვერზე არსებულ მონაცემთა ბაზაში შეტანილი იქნა: ა. 3500-ზე მეტი სიხშირე საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ოპერატიული რადიოკავშირისათვის განკუთვნილი, ლიცენზირებადი (რადიო, სატელევიზიო და სხვა სამაუწყებლო), სარელო და არალიცენზირებადი დიაპაზონში არსებული სიხშირეები; ბ. 500-ზე მეტი ორგანიზაცია, რომელსაც მინიჭებული აქვს სიხშირული რესურსი და/ან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ლიცენზია(ები).
- ATDI-ის მიერ მოწოდებული პროგრამული უზრუნველყოფისა და ციფრული რუკების მეშვეობით განხორციელდა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით რადიოდაგეგმარება, ასევე WiMax ქსელის

დაგეგმარება და არსებული GSM და CDMA სადგურების დაფარვის ზონის გათვლა.

2008 წელს რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციის კუთხით შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

- მომზადდა და გაიგზავნა კოორდინაციაზე RRC 06 გეგმაში არსებული ციფრული სამაუწყებლო სადგურების მოდიფიცირებული მონაცემები მე-10, 50-ე და 58-ე სატელევიზიო არხებისთვის. აღნიშნული არხების კოორდინაციაზე შეთანხმება მიღწეული იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ქ. ბაქოში CEPT-ის შეხვედრის მიმდინარეობისას. კოორდინაციის პროცესი განხორციელებული იქნა ასევე ორი ქვეყნის შესაბამისი ორგანოების მიერ 2007 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების გათვალისწინებით; აღნიშნული ქმედება აუცილებელია სიხშირეთა მინიჭებების საერთაშორისო სამართლებრივი დაცვის კუთხით.
- რადიოკავშირის მსოფლიო კონფერენციის (WRC 2011) მოსამზადებელ პერიოდში CEPT-ის წევრ ქვეყნებთან ერთად კომისიამ მონაწილეობა მიიღო კონფერენციაზე განსახილველ საკითხებზე ევროპის ქვეყნების საერთო წინადადების მომზადებაში. ამით ევროპული ჰარმონიზებული სიხშირული ბადის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ჩვენი ქვეყნის ინტერესები.
- კომისიამ მონაწილეობა მიიღო CEPT-ის WG FM-ის შემსწავლელი ჯგუფის ათენის და ბაქოს შეხვედრებში. აღნიშნულ შეხვედრებზე წარმოდგენილი იყო საქართველოში რადიოსიხშირული სპექტრის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები. ამ საკითხებზე შეხვედრების დაწყებამდე გაგზავნილი იქნა WG FM-ის კითხვარებსა და საკონსულტაციო თემებზე პასუხები. სულ მომზადებული და წარდგენილი იქნა 7 ტექნიკური შინაარსის მქონე საკითხი, რომლებიც გათვალისწინებული იქნა WG FM-ის მომზადებულ საბოლოო მასალებში.
- WG FM-ის მიერ დიდი მნიშვნელობა ენიჭება “ECA table” ერთიანი ევროპის ჰარმონიზებული სიხშირული ბადის სრულყოფისა და მასთან სხვა ქვეყნების ეროვნული სიხშირული გეგმის თანხვედრის საკითხებს. ამ საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩართულია კომისია WG FM-ის შესაბამის საკოორდინაციო ჯგუფში. 2008 წლის განმავლობაში “ECA table”-ში შეტანილი იქნა რიგი ცვლილებებისა, რომლებიც სასურველია, გათვალისწინებული იქნეს სიხშირეთა განაწილების ეროვნულ გეგმაში.
- განხილული იქნა და მომზადდა შესაბამისი პასუხები რუსეთის ფედერაციიდან, უკრაინიდან, თურქეთის რესპუბლიკიდან, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან მოთხოვნილ საკოორდინაციო პროცედურებთან დაკავშირებით. რიგი სადგურების (უკრაინა და აზერბაიჯანის რესპუბლიკა) კოორდინაციასთან დაკავშირებით შენიშვნები გაეგზავნა შესაბამის ადმინისტრაციებს. კოორდინაცია ხორციელდებოდა ITU-ს მიერ განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. ორი ქვეყნის (საქართველო და სომხეთი) სასაზღვრო რაიონებში, რადიოხელშეშლების აღმოფხვრისა

და დამატებითი საკოორდინაციო პროცედურების ჩატარების მიზნით, მომზადდა შესაბამისი ღონისძიებების პროექტი და გაეგზავნა სომხეთის ადმინისტრაციას.

- საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი არალიცენზირებული მობილური კომპანიების (სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მოქმედი რუსული კომპანია „მეგაფონი“) მიერ გავრცელებული სიგნალების დაფიქსირებისა და შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების განხორციელების მიზნით ITU-ს მიწისზედა სამსახურების მონიტორინგის განყოფილებას გაეგზავნა მოთხოვნა სათანადო რეაგირებისთვის.
- ციფრული სატელევიზიო მაუწყებლობის სტანდარტების განსაზღვრისა და ამ მაუწყებლობის უპირატესობების უკეთ გაცნობის მიზნით კომისიამ მონაწილეობა მიიღო ქ. ოდესაში ITU-ს მიერ ორგანიზებულ სემინარში. აღნიშნულ სემინარზე საფრანგეთის ფირმა ”THOMSON“-ის წარმომადგენლებთან მიღწეული იქნა შეთანხმება ქ. თბილისში სემინარისა და სამუშაო შეხვედრის ჩატარების თაობაზე საქართველოში მოქმედი სატელევიზიო მაუწყებლებისთვის.

საერთაშორისო საქმიანობა

2008 წლის დასაწყისში, ევროპის სატელეკომუნიკაციო სტანდარტების ინსტიტუტის (ETSI) შემოთავაზებით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიენიჭა საქართველოში ETSI-ს ნაციონალური სტანდარტების ორგანოს სტატუსი. ეს სტატუსი კომისიას მას შემდეგ მიენიჭა, რაც საქართველო გახდა ევროპის საფოსტო და სატელეკომუნიკაციო ადმინისტრაციების კონფერენციის (CEPT) წევრი. საქართველოში ETSI-ს ნაციონალური სტანდარტების ორგანოს სტატუსი ახალი/შესწორებული სტანდარტების პროექტების განხილვის პროცესში მონაწილეობის და ახალი/შესწორებული სტანდარტის დამტკიცება/გამოქვეყნებისათვის ხმის მიცემის უფლებას იძლევა.

2008 წელს მნიშვნელოვანი იყო კომისიის მონაწილეობა ქ. ათენში გამართულ CEPT-ის ელექტრონული კომუნიკაციების კომიტეტის (ECC) რადიოსიხშირული სპექტრის მართვის შემსწავლელი ჯგუფის (WG FM) 62-ე და ქ. ბაქოში გამართულ 64-ე შეხვედრაში. ბაქოში, 64-ე სხდომის პარალელურად, გაიმართა მოლაპარაკება აზერბაიჯანის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ციფრული მაუწყებლობის კოორდინაციის საკითხებთან დაკავშირებით. განხილვისას მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ აზერბაიჯანის ადმინისტრაციის მიერ სასაზღვრო რეგიონებში თანხვედნილი არხებიდან გამოყენებული იქნება 56-ე და მე-60 სატელევიზიო არხები, ხოლო საქართველოს მიერ მე-10 და 58-ე არხები. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არხების გამოყენების არეალში შედის ქ. თბილისი, რაც, თავის მხრივ, იქნება ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი ციფრული მაუწყებლობის დასაწერად.

დავები

2008 წელს 51 შემთხვევაში სხვადასხვა კომპანიამ გაასაჩივრა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებები. გასაჩივრებული გადაწყვეტილებები შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

- ურთიერთჩართვის შესახებ - 10
- ტარიფების შესახებ - 4
- ლიცენზიის გარეშე მაუწყებლობის შესახებ - 1
- ლიცენზიის გაუქმების შესახებ - 3
- ლიცენზიის ვადის გაგრძელებაზე უარი თქმის შესახებ - 1
- ლიცენზიის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ - 2
- სპეც. ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ - 1
- სიხშირის მოდიფიცირებაზე უარის თქმის შესახებ - 1
- კომისიაში ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ - 9
- სხვადასხვა რესურსთან დაშვების შესახებ - 5
- ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ - 8
- ნუმერაციის რესურსის შესახებ - 3
- კაბელების ამოღების საკითხის შესახებ - 1
- მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ - 2

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2008 წელს განიხილა 34 დავა კომპანიებს შორის:

- ელემენტებთან ან/და რესურსებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის შესახებ - 17
- მომსახურების ტარიფების შესახებ - 3
- კაბელების დემონტაჟის, გამოცვლის, დაზიანებულის აღდგენის მოთხოვნისა და მომსახურების მიწოდების შესახებ - 6
- ოფერტების გამოქვეყნების შესახებ - 1
- სიმძლავრის გაზრდის შესახებ - 1
- სანქციების შესახებ - 1
- თანამშრომლების ადგილზე დაშვების შესახებ - 1
- ექსკლუზიური ტრანსლაციის უფლების შეზღუდვის შესახებ - 2
- სატელეფონო ნომრების ჩართვის შესახებ - 1
- მოქალაქისათვის მომსახურების აღდგენის შესახებ - 1

აქედან:

- სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში - 35
- სარჩელი არ დაკმაყოფილდა, სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში - 3

- სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლოს გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში - 1
- სარჩელი დაკმაყოფილდა, სასამართლოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში - 9
- საქმის განხილვა შეჩერებულია - 3

მომხმარებელთა უფლებები

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად არსებობს. სამსახურში შემოსული საჩივრებიდან იკვეთება რიგი პრობლემებისა, რომელთა გადაჭრას დიდი დრო, ძალისხმევა და, რაც მთავარია, კომპანიების მხრიდან პრობლემების გადაჭრის მზაობა და სურვილი ესაჭიროება.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსულ საჩივართა უმრავლესობა ეხება უხარისხო სატელეფონო მომსახურებას, მომხმარებლებისთვის სატელეფონო მომსახურების შეწყვეტას, საკაბელო ინფრასტრუქტურის დაზიანებას, მოქმედი კანონმდებლის დაცვის გარეშე ტელეფონის ნომრის მოხსნას და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის არსებულ უთანხმოებას. უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა ისეთი საჩივრების რაოდენობა, რომლებიც ეხება ამა თუ იმ მომსახურებისთვის დარიცხულ სადავო დავალიანებას.

სულ 2008 წელს მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოვიდა 57 წერილობითი და 88 ზეპირი (სატელეფონო) განცხადება. წერილობითი განცხადებები შინაარსის მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება დაჯგუფდეს:

- სადავო დავალიანება - 19
- სატელეფონო კავშირის დაზიანება - 13
- ინტერნეტით მომსახურების ხარისხი - 7
- ბილინგის მონაცემების გაუცემლობა - 6
- ტელეფონის ნომრის მოხსნა - 2
- ტელეფონის ნომრის გადაფორმება - 1
- შეღავათები - 1
- მაუწყებლობის სფეროში განცხადებები - 3
- ტარიფები - 1
- განცხადება გარემოს დაცვის საკითხებზე - 1
- მესამე პირის თვითნებური ჩართვა სატელეფონო ხაზში - 1

შინაარსის მიხედვით სატელეფონო საჩივრები შეეხებოდა:

- სატელეფონო კონსულტაციას - 11
- სატელეფონო კავშირის დაზიანებას - 63
- ინტერნეტით მომსახურების ხარისხს - 12
- სამაუწყებლო სფეროში განცხადებას - 1
- საინფორმაციო სამსახურ 09-ს - 1
- რადიოქსელის გაყვანას - 1
- სატელეფონო დავალიანებას - 3
- ტელეფონის დადგმას - 1
- ბილინგის მონაცემების გაუცემლობას - 1
- დავალიანების გადაანგარიშებას - 1
- შეღავათებს - 2

აღნიშნული საკითხებიდან, უმეტეს შემთხვევაში, დაკმაყოფილდა მომხმარებლის მოთხოვნა.

2008 წელს საგრძნობლად გამოიკვეთა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის არაეფექტიანობა ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლებთან მიმართებაში, რამაც დღის წესრიგში დააყენა მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობის საკითხი.

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების გამრავალფეროვნების პირობებში მომხმარებლები სულ უფრო ხშირად აწყდებიან მომსახურების პირობების თაობაზე ინფორმაციის ნაკლებობის ან ხელმიუწვდომლობის პრობლემას.

შემოსული საჩივრების ნაწილი შეეხება მომხმარებელთა მიერ კომპანიებში შეტანილი განცხადებების განუხილველად დატოვებას ან საჩივრის განხილვისთვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ვადების უხემ დარღვევას.

წინა წლებისგან განსხვავებით, როცა სატელეფონო მომსახურების ხანგრძლივი დროით შეწყვეტა განპირობებული იყო სათანადოდ დაუცველი საკაბელო მეურნეობის დატაცებით, 2008 წელს ადგილი აქვს სატელეფონო მომსახურების შეწყვეტას სატელეფონო კაბელების დაზიანების გამო. თუმცა ამ პრობლემას არა აქვს ისეთი მასშტაბური ხასიათი, როგორც აქამდე ჰქონდა. აღნიშნული განპირობებულია ორი ძირითადი ფაქტორით: საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ინტენსიური მუშაობით ამ მიმართულებით და მომსახურების მიმწოდებელი კომპანიების მიერ ძველი ავტომატური სატელეფონო სადგურების ციფრული სადგურებით შეცვლით.

2008 წელს საკმაოდ აქტუალური გახდა მომხმარებლებს და მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის დავა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანების სისწორეზე. მთელ რიგ შემთხვევებში სამსახურის მოთხოვნის შემდეგ აბონენტს ჩამოეწერა სადავო დავალიანება.


2008 წელს გამოიკვეთა მოქმედი კანონმდებლობის დაცვის გარეშე ტელეფონის ნომრის მოხსნის არა ერთი შემთხვევა, რაც განპირობებულია მომსახურების პირობების თაობაზე მომხმარებელთა ინფორმირების დაბალი დონით და აბონენტებთან მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების არარსებობით. უმეტეს შემთხვევაში საზოგადოებრივი დამცველის მოთხოვნა მომხმარებლისთვის ტელეფონის ნომრის აღდგენის თაობაზე შესრულდა.

2008 წელს მასშტაბური ხასიათი მიიღო მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შორის უთანხმოების გამო მომხმარებლებისთვის სატელეფონო და ინტერნეტმომსახურების შეწყვეტამ. ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა მომხმარებლებს გარკვეული კომპანიების მხრიდან შეეზღუდათ მომსახურების მიმწოდებელი სხვა, მათთვის სასურველი კომპანიის ინტერნეტმომსახურების არჩევის უფლება. ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მომხმარებლებს არ მიეწოდებოდათ საკომუნიკაციო მომსახურება იმის გამო, რომ სახაზო-საკაბელო მეურნეობა, რომლის მეშვეობითაც მათ მიეწოდებოდათ საკომუნიკაციო მომსახურება, ეკუთვნის სხვა კომპანიას და ეს უკანასკნელი უარს აცხადებდა არსებული დაზიანების აღმოფხვრაზე იმ მიზეზით, რომ მომხმარებელი მისი აბონენტი არ არის. ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის ეფექტიანობის ნაკლებობა გამოვლინდა სწორედ ამ შემთხვევებში, ინტერნეტმომსახურების მიმწოდებელ მოდავე კომპანიებთან მიმართებაში, რის გამოც დღის წესრიგში დადგა კანონმდებლობის სრულყოფის საკითხი.


2008 წლის ბოლოს მომზადდა კომისიის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით ცვლილებები და დამატებები შედის „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში. აღნიშნული ცვლილებები ემსახურება ელექტრონული საკომუნიკაციო კავშირის დაზიანების აღმოფხვრის წესების სრულყოფას და ეფექტიანობის გაზრდას. ხსენებული ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივი დამცველის სამსახურმა. წარმოდგენილი ცვლილებებისა და დამატებების შედეგად „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ რეგლამენტში განსაზღვრული დაზიანების აღმოფხვრის წესების მოქმედება გავრცელდა ნებისმიერი სახის ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებაზე, მათ შორის ინტერნეტმომსახურებაზე. ამასთან, სამართლებრივი რეგულირების სფეროში მოექცა მომსახურების მიწოდების შეფერხების ის შემთხვევებიც, რომელთა აღმოფხვრის ვადები დღემდე არ იყო განსაზღვრული. რეგლამენტში შესული ცვლილებები საგრძნობლად შეუწყობს ხელს მომსახურების მიმწოდებელ კომპანიათა პასუხისმგებლობის გაზრდას მომხმარებლების წინაშე და, ასევე, ხელს შეუწყობს კომპანიებს შორის უთანხმოების გამო მომხმარებელთა უფლებების დარღვევის თავიდან აცილებას.

თავი III

ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების ბაზრის განვითარების მიმოხილვა



შედარებით 199,056 მილიონი ლარით მეტია.



წელს 18.01% შეადგინა.

საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების დარგის ყოველთვიური შემოსავლების საშუალო ოდენობა საქართველოს ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით 2003 წელს 9.48 ლარი, 2007 წელს - 21.1 ლარი, ხოლო 2008 წელს 24,96 ლარი იყო. აღნიშნული ზრდა დაფიქსირდა საკომუნიკაციო მომსახურების საერთო ტარიფების დონის შემცირების ფონზე.

დარგის შემოსავლების წილი ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში

2000 წლიდან დაწყებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში სისტემატური ზრდის

2008 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მთლიანი შემოსავალი (დღგ-ის ჩათვლით) კვლავ ზრდადი იყო და საერთო ჯამში 1 მილიარდ 312 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა; რაც წინა წელთან

2003-2005 წლებში საკომუნიკაციო დარგის საერთო შემოსავლების წლიური ზრდის ტემპი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 2006 წელს ჯამური შემოსავლების წლიურმა ზრდამ 42.31%, 2007 წელს - 11.20%, ხოლო 2008

ტენდენციით ხასიათდება. 2001 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3.76%-ს შეადგენდა, 2006 წლისათვის კი 7.49%-ს მიაღწია. 2007 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა, მშპ-ის ზრდის უპრეცედენტო ტემპის ფონზე (რაც ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ტენდენციით აიხსნება), ხოლო 2008 წელს ისევ მცირედით მოიმატა.


	2003	2004	2005	2006	2007	2008
კომუნიკაციების დარგის შემოსავლები	454120	588998	703681	1001402	1113573	1312629
მშპ (მლნ ლარი)	8871	10278	11621	13370	16999	19070
კომუნიკაციების დარგის შემოსავლების წილი მშპ-ში	5.12%	5.73%	6.06%	7.49%	6.54%	6.88%

ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტების განვითარების დინამიკა

ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე მოქმედი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით და მათი მატების დინამიკა ნათლად მეტყველებს დარგის საერთო განვითარების ტენდენციებზე. თუ ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარს სამ სეგმენტად - ფიქსირებულ ტელეფონიად, მობილურ ტელეფონიად და მაუწყებლობად დავყოფთ, აბსოლუტურ მონაცემებში მათ მიერ მიღებული შემოსავლები ასე გამოიყურება:

	2 004	2 005	2 006	2 007	2 008
ფიქსირებული ტელეფონია	208 219 929	247 040 637	298 832 881	328 880 274	381 146 580
მობილური ტელეფონია	354 903 747	424 911 866	650 345 176	704 632 634	830 858 248
მაუწყებლობა	25 874 095	31 728 950	52 224 224	80 060 284	100 523 326

2008 წელს ბაზრის სეგმენტები შემდეგნაირად გადანაწილდა:



2008 წელს ელექტრონული კომუნიკაციის ბაზრის მთლიანი შემოსავლის 63.3%-იანი წილი მობილურ კომუნიკაციაზე

მოდის. აღნიშნული მაჩვენებელი უკანასკნელი რამდენიმე წელია პრაქტიკულად არ შეცვლილა. იგი 2003 წელს 58%-ს, 2005 წელს - 60%-ს, ხოლო 2006 წელს 65%-ს შეადგენდა. მობილური კომუნიკაციების სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების საერთო შემოსავალი 2008 წელს წინა წელთან შედარებით 126,226 მილიონი ლარით გაიზარდა.

2008 წელს ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე მოქმედი ოპერატორების შემოსავლები წინა წელთან შედარებით 52 მლნ. ლარით გაიზარდა და თითქმის 381 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რაც ბაზრის შემოსავლის 29%-ია.

ტელერადიომუწყებლობის ბაზრის ლიბერალიზაციის და გაფართოების ტენდენცია 2008 წელსაც დაფიქსირდა. აღნიშნული სეგმენტი ეკონომიკურად მომგებიან სექტორად ჩამოყალიბდა. 2008 წლის მონაცემებით, მისი წილი მთლიანად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის 7,7%-ია; აბსოლუტურ მონაცემებში მან 100,5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 20.5 მილიონი ლარით მეტია.

ქვემოთ ცხრილში ნათლად არის მოცემული 2004-2008 წლების პერიოდში საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეული სეგმენტების განვითარების ტენდენციები.


	2003	2004	2005	2006	2007	2008
ფიქსირებული ტელეფონია	37.47%	35.35%	35.11%	29.84%	29.53%	29%
მობილური ტელეფონია	58.37%	60.26%	60.38%	64.94%	63.28%	63.3%
მაუწყებლობა	4.16%	4.39%	4.51%	5.22%	7.19%	7.7%

ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურება



ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე შემოსავლების უმეტესი წილი სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე“ მოდის. ამ უკანასკნელის, შპს „ახტელისა“ და შპს „ახალი ქსელების“ ერთობლივი წილი აღნიშნულ სეგმენტზე თითქმის 90%-ს შეადგენს.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების (აქტიური სატელეფონო ხაზების) რაოდენობა 2000-2007 წლებში 98,447-ით გაიზარდა და 2009 წლის დასასრულს 618 ათასი აბონენტი შეადგინა.


	2004	2005	2006	2007	2008
ფიქსირებული ქსელის აბონენტები	532 755	544 417	553 105	556 088	618 028



ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლები 2008 წელს 381 მილიონ ლარამდე გაიზარდა. 2008 წელს აღნიშნული მომსახურების სექტორის წილმა საკომუნიკაციო დარგის მთლიან შემოსავლებში 29% შეადგინა.




ზრდა (თუმცა მან 2007 წლის რეკორდული



მატებს - ვერ მიაღწია). 2008 წელს დაფიქსირდა 155,383-ით მეტი აბონენტი, რამაც საერთო ჯამში მობილური ქსელის 2,599,704 აბონენტი შეადგინა.

მობილური სატელეფონო მომსახურების აქტიური აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობას. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების ოდენობა საშუალოდ ერთ აბონენტზე გადანაგარიშებით 2000 წელს 57.74 ლარს, 2007 წელს - 22.59 ლარს, ხოლო 2008 წელს 25.13 ლარს შეადგენდა.




მობილური ტელეფონია

2008 წელს მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა. 2008 წელს ამ სეგმენტის შემოსავლებმა თითქმის 831 მილიონ ლარს მიაღწია, რაც 2007 წელთან შედარებით 126,327 მილიონი ლარით მეტია. მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ზრდის ტემპი დარგში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო მისი წილი მთლიანად ბაზარზე 63%-ია.

2008 წელს გაგრძელდა მობილური ქსელის აბონენტების მატების ნიშნულს - 895 ათასით მატებას - ვერ მიაღწია). 2008 წელს დაფიქსირდა 155,383-ით მეტი აბონენტი, რამაც საერთო ჯამში მობილური ქსელის 2,599,704 აბონენტი შეადგინა.

მობილური სატელეფონო მომსახურების აქტიური აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობას.

ტელერადიომაუწყებლობა







2008 წელს ტელერადიომაუწყებლობის სფეროში კომპანიების მიერ მიღებულმა საერთო შემოსავალმა 100 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც იმავე წელს საკომუნიკაციო ბაზრის მთლიანი შემოსავლების 7.7 %-ია. თუ ამ მონაცემებს დავყოფთ ტელევიზიად,

საკაბელო ტელევიზიად და რადიოდ, შემდეგი სურათი იქნება:

	2004	2005	2006	2007	2008
ტელევიზია	15,501,126	2,282,182	36,953,026	62,549,141	80,878,997
საკაბელო ტელევიზია	8,570,838	9,087,730	9,924,091	10,253,378	11,365,587
რადიო	1,802,130	2,359,039	5,347,107	7,257,765	8,278,742

2008 წლის ბოლოსათვის სულ გაცემულია 105 ლიცენზია მაუწყებლობის სხვადასხვა სახეობაზე. აქედან 6 ლიცენზია 2008 წელს გაიცა.

ინტერნეტის ქსელით მომსახურება



ინტერნეტის ქსელით მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, ისევე, როგორც ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, წლიდან წლამდე იზრდება. წინა წელთან შედარებით შემოსავლების ზრდამ თითქმის 23 მილიონ ლარს მიაღწია. რაც შეეხება ADSL აბონენტების რაოდენობას, 2004 წელს მათი რიცხვი იყო 4,245, 2005 წელს - 15,263, 2007 წელს - 41,234, ხოლო 2008 წელს 96,131, ინტერნეტ მომსახურების საბოლოო მომხმარებელთა რაოდენობამ კი 2008 წელს 903 ათასს გადააჭარბა.



„რეიტინგი“

აუდიტორული ფირმა
„RATING„ AUDIT FIRM

0160. თბილისი.
ვაჟა-ფშაველას გამ. №16. მე-14 სართული
ტ. 37-49-38. მობილი 899-56-68-13.

საქართველოს
პარლამენტთან
არსებული
აუდიტორული საბჭო



№ 9-1/105

* 26 * ივლისი 2009წ.

აუდიტორული დასკვნა

2009 წლის 15-22 ივნისს, (თანახმად 2009 წლის 15 ივნისის ხელშეკრულებისა) აუდიტორულმა ფირმა „რეიტინგი“ ჩატარა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ 2008 წლის ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მე-14 მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა ბუღალტრული ანგარიშგების სწორად შედგენაზე აკისრია „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“-ს ხელმძღვანელობას, ჩვენი მოვალეობა, რომ აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოვხატოთ ჩვენი აზრი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და გავცეთ ასს 700 შესაბამისი აუდიტორული დასკვნა.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტორული შემოწმება საყოველთაოდ მიღებული აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც მოითხოვს აუდიტის ისეთიანად დაგეგმვას და ჩატარებას, რომ საიმედო გარანტია გექონდეს დასკვნისთვის რომ ბალანსი არ შეიცავს არასწორ ცნობებს. აუდიტი მოიცავს, აგრეთვე, იმ მინაცემების შემოწმებას, რომლებიც ადასტურებენ ბალანსის ჯამურ მაჩვენებლებს, აღრიცხვის გამოყენებული პრინციპების განხილვას, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული შეფასების შედეგებს და ბალანსის შესწავლას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბალანსის შედგენილია იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრულ აღრიცხვას და ანგარიშგებას.

2008 წლის საბუღალტრო და ფინანსური დოკუმენტები, ძირითადად ხორციელდებოდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების, საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად. იგი ყველა არსებითი მხარით წარმოგვიდგენს „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ფინანსურ მდგომარეობას 2009 წლის 01 იანვრისთვის.



აუდიტორული ფირმა „რეიტინგი“-ს
დირექტორი
ირაკლი ჯალალიშვილი



ლიცენზია №224
ლიცენზია №175

